თურქეთის როლის გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში პოსტსაბჭოთა პერიოდში

ნინო კოპალიანი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. ქუთაისი, თამარ მეფის № 59. 4600, საქართველო
+995 577 38 51 92. kopaliani.nino@ciu.edu.ge
https://orcid.org/0000-0002-0203-9641

აბსტრაქტი

თურქეთი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარე ძლიერი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან განსაკუთრებით გააქტიურა ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). საწყის ეტაპზე თავად ქვეყნის შიგნით არსებულმა პრობლემებმა, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროში წამოჭრილმა სირთულეებმა, გარკვეულწილად, ხელი შეუშალა ანკარას გამხდარიყო „თურქული სამყაროს“ ლიდერი და მოეხდინა რეგიონულ დონეზე საკუთარი პოლიტიკური შესაძლებლობებისა და ძალის დემონსტრირება. სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების მიზნით თურქეთი ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობები დაამყაროს რეგიონის სამივე სახელმწიფოსთან და მათთან არსებული რელიგიური, ეთნიკური, კულტურული თუ გეოგრაფიული სიახლოვე მოხერხებულად გამოიყენოს მოწინავე რეგიონული აქტორის იმიჯის შესაქმნელად. თავისი მიზნის განხორციელების გზაზე ის აქტიურად თანამშრომლობს სამხ-

რეთ კავკასიის ქვეყნებთან ენერგეტიკულ, პოლიტიკურ თუ სამხედრო სფეროში, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამ რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გაფართოებაზე. თურქეთის რესპუბლიკის სათავეში 2002 წელს მოსული სამართლიანობისა და განვითარების პარტია, სწორად იაზრებს რა თავისი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, არ უშინდება რისკებს და ცდილობს ამოავსოს ის ვაკუუმი, რომელმაც პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარე სახელმწიფოების ხელისუფლებაში იჩინა თავი. რისკებად მოიაზრება რუსეთის ფედერაციასთან კონფრონტაციის საფრთხე, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად იგი არ აპირებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე უარის თქმას და ერთ-ერთი რთული პოლიტიკური მოთამაშეა რეგიონში. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე თურქეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა, რათა მოეხდინა როგორც ირანისა და რუსეთის გავლენების დაბალანსება, ასევე არარეგიონული აქტორების გავლენების შესუსტება სამხრეთ კავკასიაში. დავუთოღლუს ახალი საგარეოპოლიტიკური დოქტრინის მიხედვით, თურქეთის მისწრაფება წამყვანი რეგიონული ქვეყნის თუ ახალი გეოსტრატეგიული როლის მორგებისაკენ შეუთავსებელი არ უნდა იყოს საერთაშორისო აქტორების ინტერესებთან (Grigoriadis I, 2010:7). რეჯეფ თაიფ ერდოღანის ახალი ვადით მოსვლა ხელისუფლებაში კიდევ უფრო გააქტიურებს ანკარის კავკასიურ პოლიტიკას.

საძიებო სიტყვები: საქართველო; თურქეთი; რეგიონი; პოლიტიკა; აზერბაიჯანი; ირანი; კავკასია; სომხეთი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო წესრიგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს, შესაბამისად ბლოკებს, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთობებიც ცვალებად ხასიათს ატარებს და ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის რთული ხდება ურთიერთობის დარეგულირება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაც არ დარჩენილა მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებისა და პოლიტიკური რყევების მიღმა და XX ს-ის ბოლოდან ამ რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. დღეს ამ ტერიტორიაზე ერთმანეთს უპირისპირდება როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო აქტორების გლობალური ინტერესები და მათ შორის ერთ-ერთი მთავარი აქტორია თურქეთი.

საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რამდენადაც სამხრეთ კავკასიაში ადგილი აქვს თურქეთ-რუსეთის ინტერესთა შეჯახებათანხვედრას: რუსეთი თავის თავს მიიჩნევს იმ ერთადერთ და ძლიერ აქტორად, რომელსაც შესწევს უნარი შუამავლის როლი მოირგოს რეგიონში, თავის მხრივ თურქეთს სურს, რომ რეგიონული კონფლიქტების მოგვარების პროცესში შუამავლობა თავად იკისროს. სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობის გამო ამ რეგიონში პოზიციების ზრდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რუსეთისათვის, ასევე თურქეთისათვის კასპიისპირეთსა და შავიზღვისპირეთში გავლენების გაზრდის თვალსაზრისით.

კვლევის მიზანი: გამოვიკვლიოთ რა ადგილი უჭირავს სამხრეთ კავკასიას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში და როგორ აისახა მისი გავლენა ამ რეგიონზე პოსტსაბჭოთა პერიოდში.

საკვლევი კითხვები:

- რამ განაპირობა თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება სამხრეთ კავკასიაში პოსტსაბჭოთა პერიოდში?

- რა საშუალებებით ცდილობს თურქეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში თავისი ინტერესების გატარებას?

- რა თავისებურებებით ხასიათდება თურქეთის მმართველი პარტიის კავკასიური პოლიტიკა?

ჰიპოთეზა: პოსტსაბჭოთა პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკამ განიცადა ტრანსფორმაცია. ის მისთვის სტრატეგიუ-

ლად მნიშვნელოვან სამხრეთ კავკასიის რეგიონში ატარებს აქტიურ და პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს დააბალანსოს ორი მთავარი აქტორის ირანისა და რუსეთის გავლენა და თავად გახდეს მთავარი რეგიონული ძალა სამხრეთ კავკასიაში. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

კვლევის ობიექტი: თურქეთის საგარეო პოლიტიკა.

კვლევის საგანი: თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსის ცვლილება სამხრეთ კავკასიაში.

მართალია თურქეთის საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე არაერთი უცხოელი თუ თურქი მკვლევარი მუშაობს, რაც თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, თურქეთის ინტერესების განხილვის შესაძლებლობასაც გვაძლევს, თუმცა ქართული სამეცნიერო სივრცე აღნიშნულ საკითხზე მრავალრიცხოვანი კვლევებით ნამდვილად არ არის განებივრებული. კვლევაზე მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გაგვიწია სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო კვლევებმა: ე. მაკარაძე ნაშრომში ,,თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში და ურთიერთობა საქართველოსთან 1991-2008 წლებში“ (მაკარაძე ე, 2018) საინტერესოდ საუბრობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებით თურქეთის დაინტერესების, კავკასიის რეგიონთან მიმართებაში მისი ამბიციური გეგმების, საქართველო-თურქეთ-აზერბაიჯანის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობის, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინტეგრაციისაკენ მიმართული ერთობლივი აქტიური ქმედებების შესახებ. მ. მანჩხაშვილის „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“ (მანჩხაშვილი მ, 2014) გახლავთ თურქულიდან თარგმნილი სქელტანიანი სახელმძღვანელო, რომელიც თურქეთის ექსპრემიერის აჰმედ დავუთოღლუს შრომებით იწყება. სახელმძღვანელოში ვრცლად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქცია და

როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიმოხილული არის თურქეთის საგარეო პოლიტიკური სისტემა, ამ ქვეყნის გეოპ-ოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა აქტიური რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკის წარმოების კუთხით; ზ. ბერიძის ნაშრომში „თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერ-თობები XX საუკუნის 90-იან წლებში“ (ბერიძე ზ, 2019) ავტორს განხილული აქვს: თურქეთის გეოსტრატეგიული მიზნები ამიერ-კავკასიაში და რუსეთის ფაქტორი, საუბრობს სამხრეთ კავკასი-აში თურქეთისა და ირანის პოლიტიკური ინტერესების თანხვ-ედრა-შეჯახების შესახებ, ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავ-შირის დაშლის შემდგომ თურქეთ-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე და თურ-ქეთ-საქართველოს ეკონომიკურ პარტნიორობასთან დაკავშირ-ებით, ასევე საინტერესოდ გვიყვება თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტი-ვებზე და იმ ერთობლივ ენერგოპროექტებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობაზე; ხოზრევანიძე ლ. თავის მონოგრაფიაში „თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები“ (ხოზრევანიძე ლ, 2019) განხილული აქვს თურქეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები. ავტორი საუბრობს სამხრეთ კავკასიასთან ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, თურქეთის ხელსაყრელი გეოპოლიტიკ-ური მდებარეობის შესახებ, ახასიათებს მის პოლიტიკურ სის-ტემას და გვიზიარებს თავის შეხედულებებს; სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში თურქე-თის საგარეო პოლიტიკა დაკავშირებულია პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მთავრობაში საგარეო პოლიტიკის საკითხებში მთავარი მრჩეველის აჰმედ დავუთოღლუს სახე-ლთან. დავუთოღლუს „ნულოვანი პრობლემები ახალ ეპოქაში“ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩვენი ნაშრომისათვის (Davutoglu A, 2013). თურქი დიპლომატის სტრატეგიული ხედვა და ახალი საგარეო პოლიტიკური დოქტრინა საინტერესოდ აქვს

განხილული იოანის გრიგორიადისს თავის ნაშრომში „დავუთოღლუს დოქტრინა და თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ (Grigoriadis I. 2010). დავუთოღლუს აზრით თურქეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მას საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას აძლევს, რაც გულისხმობს მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას და ამ მიზნით მათ შორის არსებული ლინგვისტური, ისტორიული თუ კულტურული კავშირების გამოყენებას; გ. მაჭავარიანი თავის სტატიაში ,,საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა ხასიათი და თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე“ (Мачавариани Г. 2017) განიხილავს ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

წინამდებარე კვლევა რუსეთ-თურქეთ-საქართველოს ურთიერთობით დაინტერესებული დარგის სპეციალისტების, მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული საკითხის შემდგომი კვლევისათვის.

მეთოდი

სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: შედარებით-ისტორიული მეთოდი, კონტენტ ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები

დადასტურდა ჰიპოთეზა. პოსტსაბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა თურქეთის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა. მას აქვს გართულებული ურთიერთობები სომხეთთან, რომლის ნორმალიზაციის მცდელობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის აზერბაიჯანთან ურთიერთობებში, მაგრამ ამ ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა ანკარისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია რეგიონული უსაფრთხოების კუთხით. ამიტომაც მან უარი თქვა მეზობელ ქვეყნებთან პრობლემურ ურთიერთობებზე და ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად უპირატესობა მიანიჭა „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემის“ პრინციპს, რამაც თურქეთი ერთ-ერთ გამორჩეულ ქვეყნად აქცია როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო სისტ-

ემაში. იგი ერთობლივი საინვესტიციო, ეკონომიკური, სატრანსპორტო-ენერგეტიკული და სხვა სახის პროექტების განხორციელებით ატარებს თავის ინტერესებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და ეწინააღმდეგება ძალთა გადანაცვლებას რეგიონში რომელიმე სხვა პოლიტიკური აქტორის სასარგებლოდ.

დისკუსია

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას საუკუნეების განმავლობაში ამ რეგიონის ძირითად გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა ინტერესები განსაზღვრავდა. პოსტსაბჭოთა სივცეში პოზიციების გამყარება სამი მთავარი რეგიონული აქტორის ირანის, თურქეთისა და რუსეთის ინტერესებში შედის, რომლებიც ცდილობენ ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში თავის სასარგებლოდ შეცვალონ. ბუნებრივია, თითოეულ აქტორს განსხვავებულად წარმოუდგენია თუ როგორი იქნება თავისი ქვეყნის ადგილი და როლი როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ პოლიტიკაში და, შესაბამისად, ამ ქვეყნებში მოქმედი ხელისუფლებისა და დღევანდელი პოლიტიკური ელიტის შეხედულებები თუ მოსაზრებები ამ მიმართულებით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კავკასია არ წარმოადგენს მშვიდ რეგიონს, რამდენადაც აქ წლებია მიმდინარეობს ტერიტორიული კონფლიქტები რიგ მეზობელ სახელმწიფოებს შორის, რომელთა მოგვარებაშიც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებია ჩართული ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან, თუმცა მათი მშვიდობიანი მოგვარება დღემდე ვერ ხერხდება. ეს კონფლიქტები სხვადასხვა სახელმწიფოებს, პოლიტიკურ სუბიექტებსა თუ პოლიტიკურ მოძრაობებს შორის ბუნებრივია, ერთბაშად არ წარმოქმნილა და უკვე სამი ათწლეულია აფერხებს სამხრეთ კავკასიის მშვიდობიან განვითარებას, ხელს უშლის რეგიონის ქვეყნების ძალთა კონსოლიდაციას საერთო პრობლემის აღმოფხვრაში. გარდა ამისა საკმაოდ მრავალი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ყოფნამ საბჭოთა კავშირის შემადგ-

ენლობაში გარკვეულწილად გამოიწვია კიდეც მათი დისტანცირება მეზობელი სახელმწიფოებისაგანაც სხვადასხვა სფეროში.

რამდენადაც სამხრეთ კავკასიის ტერიტორია მოქცეულია შავ ზღვასა და კასპიის ზღვებს შორის, თურქეთის, ირანისა და რუსეთის გარემოცვაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს რეგიონი ამ სამი დიდი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური დაპირისპირების არეალად იქცა. სსრკ-ის ჩამოშლამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოსა და აზერბაიჯანში თურქეთის როლის გაძლიერებისათვის, სომხეთში კი ხელი შეუწყო ირანისა და რუსეთის პოზიციების განმტკიცებას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში თურქეთის როლის გაძლიერება ძირითადად განპირობებულია მოქმედი ხელისუფლებების სურვილით დაუბრუნონ ქვეყანას ოსმალეთის იმპერიისდროინდელი ძლიერება. ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა ძვრებმა ანკარას სამეზობლოზე თავისი გავლენის გაფართოების შესაძლებლობა მისცა (Алексанян, 2017: 32). თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობას და დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები. თუმცა კეთილმეზობლური დამოკიდებულება ვერ შენარჩუნდა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში საქმე გაართულა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა, უფრო მეტიც, 1993 წელს სომხეთის მიერ აზერბაიჯანის კალბაჯარის ოლქის ოკუპაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის საზღვარი დაიკეტა (Ministry of Foreign Affairs: Türkiye´s Relations with Southern Caucasus Countries, 2022).

1990-იანი წლებიდან თურქეთის მისწრაფებას და ამბიციას, რომ გამხდარიყო მთავარი რეგიონული ძალა სამხრეთ კავკასიაში, აქტიურად დაუპირისპირდა რუსეთი და მალევე დაადასტურა თავისი უპირატესობა. რეგიონში თურქეთის გავლენის განმტკიცებას, გარკვეულწილად, ხელი შეუშალა თავად ამ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებმა როგორიცაა: შიდაპოლიტიკური ბატალიები, მთავრობათა ხშირი ცვლა

თუ ეკონომიკური ხასიათის პრობლემები. თურქეთი ცდილობდა გამხდარიყო რეგიონში მიმდინარე მოვლენების „აუცილებელი“ თანამონაწილე, (Сборник Института Кавказа, 2008: 22) თუმცა კარგად ხვდებოდა იმასაც, რომ ნებისმიერ მის აქტიურობას სამხრეთ კავკასიაში არ უნდა გამოეწვია რუსეთის უკმაყოფილება, რადგან იგი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო და არის რუსულ ბუნებრივ აირსა (63%) და ნავთობზე (29%) (Гоксел, 2008: 15). დღეს თურქეთი აქტიურად ცდილობს გათავისუფლდეს ამ დამოკიდებულებისაგან და ბუნებრივი გაზისა და ნავთობის საჭირო მარაგი აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნებისაგან მიიღოს.

სურდა რა სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელება ანკარა განსაკუთ-რებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მჭიდრო კავშირების შენარჩუნებას აზერბაიჯანთან. თურქეთ-აზერბაიჯანის სიახლოვეს ყველაზე კარგად აღწერს გამოთქმა „ერთი ხალხი, ორი სახელმწიფო“ (Hovsepyan, 2021:21). თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თურქულენოვანი ქვეყნებისა და ხალხების კულტურულ და ენობრივ ერთიანობაზე. მათ კავშირს კიდევ უფრო განამტკიცებს და ამყარებს ხშირ შემთხვევაში ასევე საერთო რელიგიაც. გარდა ამისა, დღეს თურქეთი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ოცეულში შედიან. მისი კაპიტალის დიდი ნაწილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან სწორედ აზერბაიჯანში არის დაბანდებული. ისინი თანამონაწილენი არიან იმ დიდი რეგიონული პროექტებისა, რომლებიც განხორციელდა ან მიმდინარეობს სამხრეთ კავკასიაში: ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) რკინიგზა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი და სხვ. ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობა არ მოიცავს მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროს, ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას სამხედრო საქმეშიც. ცნობილია, რომ თურქეთს მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული სამხედრო ძალები ჰყავს. სომხეთთან მიმდინარე ომში მან აზერბაიჯანი თანამედროვე იარაღით მოამარაგა და სამხედრო მრჩევლებიც გაუგზავნა (Dem-

ourian, 2020:2). ამით, ერთის მხრივ აზერბაიჯანის სამხედრო უპირატესობისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა, მეორეს მხრივ კი თავისი გავლენაც მეტ-ნაკლებად გააძლიერა რეგიონის ქვეყნებზე.

სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოება და რეგიონული მშვიდობის დამყარება დიდწილად დამოკიდებული იყო ყარაბაღის საკითხის მოგვარებაზე, სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზებაზე. ეს კონფლიქტი XX ს-ის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ სომხებით დასახლებული ყარაბაღი ჯერ სომხეთს, ხოლო რამდენიმე დღეში აზერბაიჯანს მიაკუთვნა თურქეთის ინტერესების გათვალისწინებით (Gekjian, 2012:247). ასე გადაწყვიტა ორმა დიდმა რეგიონულმა მოთამაშემ წლების წინ ყარაბაღის საკითხი და ამით კონფლიქტის შემდგომი ესკალაციისათვის შექმნა ბაზა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან მალევე და შემდეგ უკვე 1988 წლიდან კვლავ დაიძაბა ურთიერთობა მთიან ყარაბაღში განსახლებულ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. მიუხედავად საომარი ოპერაციების შეწყვეტის არაერთგზის საერთაშორისო მცდელობისა ვერც 1991 წლის ჟელეზნოვოდსკის დეკლარაციამ, ვერც 1992 წელს შექმნილმა „მინსკის ჯგუფმა“ აშშ-ს, რუსეთისა და საფრანგეთის შუამდგომლობით, რომლის მიხედვითაც მხარეები საომარი მოქმედებების შეწყვეტის ვალდებულებას იღებდნენ, ვერ უზრუნველყო კონფლიქტის სწრაფი და მშვიდობიანი დასასრული. თუ საწყის ეტაპზე თურქეთის მხარდაჭერა აზერბაიჯანის მიმართ მხოლოდ დიპლომატიურ ხასიათს ატარებდა და დაპირისპირებულ მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა, მოგვიანებით მინსკის ჯგუფის წევრ სახელმწიფოებს თურქეთი უნდობლობას უცხადებდა და კონფლიქტში მისი შესაძლო ჩართულობის შესახებ უკვე ხმამაღლა დაიწყო საუბარი (მაღალდაძე, 2020:1). რაც მართლაც განხორციელდა 2020 წელს განახლებულ ყარაბაღის კონფლიქტში. პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მოუწოდა სომხეთის მთავრობას გასულიყო

მთიანი ყარაბაღიდან და თქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში ანკარა სამხედრო დახმარებას გაუწევდა ბაქოს.

თურქეთის მიერ აზერბაიჯანისათვის გაწეულმა დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ უკანასკნელის სამხედრო წარმატებას აღნიშნულ კონფლიქტში. გარდა თანამედროვე, უახლესი ტიპის სხვადასხვა სამხედრო ტექნიკის მიწოდებისა წყაროებით დასტურდება, რომ თურქეთის ძალისხმევით განხორციელდა ათასობით სირიელი მებრძოლის გადაყვანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ამ უკანასკნელის სამხედრო პოტენციალი (Khurshudyan, 2020:1). ერდოღანმა საერთაშორისო დონის შეხვედრებზე ბაქოს მიმართ ხმამაღლა და აშკარად დაფიქსირებული პოზიციით რუსეთს შეახსენა, რომ შავი ზღვის რეგიონში და პოსტსაბჭოთა სივრცეში მას თავისი პრეტენზიები გააჩნდა და შეეცდებოდა ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიაში სხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ არ გადახრილიყო (მაისტერი, 2020:1). თუმცა წლების განმავლობაში სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებში არსებულმა პოლიტიკურმა სირთულეებმა და დიპლომატიური კავშირების გაწყვეტამ ფაქტობრივად განსაზღვრა სომხეთის არჩევანი - ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთთან. ორი ქვეყნის დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ რუსეთში ძალიან ბევრი სომეხი ცხოვრობს და არა მხოლოდ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობაში არსებულმა სირთულეებმა, არამედ რუსეთში სომხური დიასპორის სიმრავლემაც აიძულა სომხეთი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გაეკეთებინა პოლიტიკური არჩევანი.

მშვიდობის დამყარებას ალტერნატივა არა აქვს, ბოლო პერიოდში თურქეთის სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის ძირითად ასპექტად იქცა მეზობელ სახელმწიფოებთან დაპირისპირების გარეშე ცხოვრება, მათთან საინვესტიციო, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების დამყარება. კავკასიის რეგიონის როლი, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნისა, საგრძნობლად დიდია. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა აიძულებს

თურქეთს, არ დაუშვას არასტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში და თავისი პოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე წამყვანი ადგილი დაიკაოს კასპიისპირეთის ენერგორესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების საქმეში (ბერიძე, 2019:91).

ჯერ კიდევ 2000 წელს სულეიმან დემირელის მიერ შემოთავაზებული „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“, მიზნად ისახავდა რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. პაქტი ჯერ საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, შემდეგ კი სომხეთმა და აზერბაიჯანმაც მოიწონეს და 1998-2008 წლებში სომხეთის პრეზიდენტის ინიციატივით 3+3+2 პლატფორმის ამოქმედება დაიგეგმა, რომელშიც ერთის მხრივ გაერთიანდებოდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, ხოლო მეორეს მხრივ ირანი, რუსეთი და თურქეთი, რომელთაც დაემატებოდა აშშ და ევროკაშირი (მანჩხაშვილი, 2014: 95). თუმცა ეს ინიციატივა უშედეგოდ დასრულდა. მეორედ თურქეთი მსგავსი ინიციატივით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოვიდა. ამჯერად ,,კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმა“ თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ჩართულობას მოიაზრებდა, რომლითაც ანკარა შეეცადა მის ინტერესებზე მორგებული რეალობა შეექმნა სამხრეთ კავკასიაში. თუმცა ვერცერთმა ინიციატივამ რეგიონში უსაფრთხოების საკითხის დარეგულირების კუთხით შედეგი ვერ გამოიღო (მაკარაძე, 2018:173), ვინაიდან რუსეთი არ იყო დაინტერესებული რეგიონში მშვიდობის დამყარებით და სხვა აქტორების გავლენის ზრდით. ამის შემდეგ თურქეთის მოქმედმა ხელისუფლებამ ბალკანეთში, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დააფუძნა ,,თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო“ (TIKA), რომლის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობა და სხვადასხვა პროექტების დაფინანსება-განხორციელება (მაკარაძე, 2018:172).

სწორედ 2002-2008 წლებში თურქეთის მმართველმა პარტიამ დაიწყო ახალი სტრატეგიის შემუშავება საგარეო პოლიტიკაში, რაშიც დიდი როლი მიუძღვის ცნობილ თურქ პოლი-

ტიკოსსა და დიპლომატს აჰმედ დავუთოღლუს. მან თავისი თეზისები ჩამოაყალიბა 2001 წელს გამოცემულ წიგნში „სტრატეგიული სიღრმე“ და მოქმედ მთავრობას მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებისა და „დინამიური და მრავალგანზომილებიანი“ საგარეო პოლიტიკის გატარებისაკენ მოუწოდა: „თურქმა ხალხმა უნდა დაიწყოს საკუთარი მეზობლის დანახვა არა როგორც პრობლემებისა და პოტენციური საფრთხეების წყაროდ, არამედ როგორც თანამშრომლობისა და პარტნიორობის ასპარეზად“-ამბობდა იგი (Davutoğlu, 2013).

2020 წლის დეკემბერში სამხრეთ კავკასიაში „მტკიცე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად რეგიონული თანამშრომლობის” ინიციატივით გამოვიდნენ თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები რეჯეფ ტაიფ ერდოღანი და ილჰამ ალიევი. ეს პლატფორმა 3+3 ფორმატის სახელით არის ცნობილი. რეგიონული ფორმატის შეხვედრები თავიდანვე ექვსი სახელმწიფოს მონაწილეობას გულისხმობდა. 2021 წლის დეკემბერში მოსკოვში გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ, ,,3+3“ ფორმატით მორიგი შეხვედრა გაიმართა 2023 წლის 23 ოქტომბერს თეირანში, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის, თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები (ქართულმა მხარემ თავი შეიკავა შეხვედრებში მონაწილეობისაგან იმ მიზეზით, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 % რუსეთის მიერ არის ოკუპირებული), თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაკან ფიდანმა განაცხადა, რომ დიალოგის გზით პრობლემის მოგვარება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უზრუნველყოფდა სტაბილურობას და მდგრად მშვიდობას სამხრეთ კავკასიაში (Московское время, 2023:1). გარდა ამისა, თუ თავიდან ,,3+3“ ფორმატი ტრანსპორტის, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებდა, 2024 წლის ოქტომბერში სტამბულში მიმდინარე შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჰუმანიტარული მიმართულება გამოკვეთა და კულტურული ურთიერთობების აუცილებლობაზეც ისაუბრა (კუნჭულია, 2020:1). აქვე ვიტყვით, რომ

გასული წლის ივნის-აგვისტოში თურქეთმა და აზერბაიჯანმა ოფიციალური განაცხადი გააკეთეს „ბრიქსში“ გაწევრიანებაზე (მაჩაიძე, 2024). ამ ორგანიზაციაში დიდი გავლენით სარგებლობს მეორე რეგიონული აქტორი რუსეთი. თურქეთი, ალბათ, შეეცდება ეს პლატფორმა მისივე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენოს, რათა მოახერხოს ურთიერთობის ნორმალიზაცია ირანთან. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თურქეთისა და აზერბაიჯანის შესაძლო გაწევრიანება „ბრიქსში“ გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მართალია, 1993 წლიდან თურქეთმა გაწყვიტა სომხეთთან ოფიციალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა და სომხეთი არ არის ჩართული არცერთ ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო პროექტში, რომელიც რეგიონში ხორციელდება თურქეთისა და აზერბაიჯანის მონაწილეობით., თუმცა ანკარა დღემდე რჩება სომხეთის აქტიურ სავაჭრო პარტნიორად (Марабян, 2022: 131). ამ ორ ქვეყანას შორის არსებული უთანხმოება გახდა მიზეზი იმისა, რომ უკვე მოქმედი ყარსი-გიუმრის სარკინიგზო გზის ნაცვლად განხორციელდა ახალი სარკინიგზო მაგისტრალის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობაც (Марабян, 2022:132).

ბოლო წლებში თურქეთთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სომხეთის საგარეო-პოლიტიკურ კურსში: თუ ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ყარაბაღში ვიზის დროს 2019 წელს ხაზგასმით ამტკიცებდა, რომ „ყარაბაღი სომხეთია“, 2020 წელს მან გააკეთა განცხადება, რომ მზად იყო წასულიყო გარკვეულ კომპრომისზე ყარაბაღის საკითხთან მიმართებაში (მაღალდაძე, 2020:1). მის ამ გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები: მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას, როგორც ჩანს მათ ვერ დაივიწყეს 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის ხელისუფალთა მიერ სომეხთა მიმართ განხორციელებულ გენ-

ოციდი, თუმცა გარკვეული ნაწილი არ შეეწინააღმდეგა მთავრობის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსს.

სომხეთის მმართველი წრეები ფიქრობენ, რომ თუ სომხეთსა და თურქეთს შორის სასაზღვრო შეზღუდვები არ იარსებებს, ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზრდება, ეს კი გამოიწვევს თურქეთის გავლენის ზრდას სომხეთში და, შესაბამისად, შეასუსტებს რუსეთის როლს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თუმცა ერევანისათვის მოსკოვი წარმოადგენს იმ ძირითად სამხედრო ძალას, რომელიც აცხადებს, რომ შეუძლია განახორციელოს ნახიჭევანისა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ზანგეზურის დერეფნის ზედამხედველობა. რუსი სამშვიდობოების სამხრეთ კავკასიაში ყოფნით თავად რუსეთიც კმაყოფილია და არც ირანი აპროტესტებს რუსი სამხედროების განთავსებას რეგიონში, რადგან მას არ აწყობს თავის საზღვართან ახლოს ახალი სამხედრო კონფლიქტი და არც ზანგეზურის დერეფნის ამოქმედება იქედან გამომდინარე, რომ ამ შემთხვევაში თურქეთი შეძლებს აზერბაიჯანთან სახმელეთო გზით დაკავშირებას. ირანისათვის, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტში იარაღით, ნავთობითა და სხვა საჭირო რესურსებით ამარაგებდა სომხეთს, სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ ძლიერ მოწინააღმდეგეს სწორედ თურქეთი წარმოადგენს, რუსი სამშვიდობოები კი გარკვეულ დაბრკოლებას შეუქმნიან თურქული დიპლომატიის ფართომასშტაბიან პოლიტიკურ საქმიანობას და ხელს შეუშლიან მისი გავლენის გაზრდას სამხრეთ კავკასიაში. თუმცა აქვე ვიტყვით, რომ ანკარის ჩართვა ყარაბაღის კონფლიქტში და აზერბაიჯანის გამარჯვება უშუალოდ თურქეთის სამხედრო დახმარების წყალობით, უკვე ამ უკანასკნელის გამარჯვებისა და რეგიონში მისი პოლიტიკური გავლენის გაფართოების დასტურად შეიძლება ჩაითვალოს (ანთაძე, 2020:3).

რაც შეეხება საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ანკარამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩვენს ქვეყანასთან 1992 წლიდან. ამავე

წელს თურქეთის პრენიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი ესტუმრა საქართველოს და ორი მეზობელი სახელმწიფო შეთანხმდა ურთიერთთანამშრომლობაზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში (Свободная Грузия, 2000:1). თურქეთ-სომხეთის დაპირისპირების და სომხეთ-აზერბაიჯანის გამწვავებული ურთიერთობების ფონზე საქართველო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. ანკარისათვის ეს პატარა მეზობელი ქვეყანა საინტერესოა არა მხოლოდ აქტიური და რაციონალური რეგიონული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, არამედ ის ერთგვარ დერეფანს წარმოადგენს ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებთან დასაკავშირებლად.

თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ხოლო საქართველო ისწრაფვის ამ სამხედრო ალიანსში გაწევრიანებისაკენ, ასეთ ვითარებაში ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი არის სამხრეთელ მეზობელთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება. საქართველო მონაწილეობს რამდენიმე მნიშვნელოვან ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო პროექტებში, რომელშიც აქტიურად არის ჩართული თურქეთიც, ერთობლივი პროექტები ერთის მხრივ დადებითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე, ეკონომიკური თანამშრომლობა კი არსებით გავლენას ახდენს პოლიტიკაზე და ხელს უწყობს ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებას რეგიონში.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საქართველოს თანამშრომლობა თურქეთთან სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. ის აქტიურად ეხმარება ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა სამხედრო პროგრამების რეალიზებაში, შეიარაღებული ძალების მომზადებაში, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, რათა ქართული ჯარი იყოს შესაბამისობაში ნატოს სტანდარტებთან (ხოზრევანიძე, 2019:129). საქართველო-თურქეთის პარტნიორობას უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ხელს უწყობს ის გარემოება, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მხარს უჭერს მის გაწევრიანებას ევროატლანტიკურ

სტრუქტურებში. ამავდროულად, სწორედ საქართველოზე გადის კასპიის ზღვის რესურსებზე დაფუძნებული თურქეთის ენერგეტიკული თუ პოლიტიკური ინტერესები. ყარაბაღის კონფლიქტის გამო სომხეთთან გართულებული ურთიერთობის ფონზე საქართველო თურქეთს სჭირდება როგორც ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი, ტერიტორია, რომლითაც ის რუსეთის გვერდის ავლით განახორციელებს კასპიის ენერგორესურსების გადაზიდვას დასავლეთის ბაზარზე (Мачавариани, 2017:4). სწორედ ეს ჩანაფიქრი დაედო საფუძვლად ჯერ კიდევ 1999 წლის ნოემბერში საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ხელმოწერილ შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიაზე გლობალური მნიშვნელობის ნავთობსადენის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მშენებლობასთან დაკავშირებით (2002წ) (Ekedahl., Goodman, 1997:257). ცოტა მოგვიანებით კი ხელი მოეწერა შეთანხმებას ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის შესახებაც (2007წ).

მ. სააკაშვილის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში, 2004 წლიდან თურქეთის გავლენა საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა. ამის დასტურია საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ანკარაში ამავე წლის 20 მაისს და შეხვედრა პრეზიდენტ ა. სეზერთან, პრემიერ-მინისტრ ერდოღანთან და სხვა ოფიციალურ პირებთან, სადაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო და თურქეთი „ბუნებრივი მოკავშირეები და მეგობრები არიან“ (Civil Georgia, 2004:1). სამდღიანი ოფიციალური ვიზიტის დროს მხარეები შეთანხმდნენ ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. ამავე პერიოდში მოხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმჟამინდელი თავჯდომარის ასლან აბაშიძის მიერ თანამდებობის დატოვება, სამი წლის შემდეგ კი საქართველო-რუსეთს შორის 2006 წელს სოჭში დადებული შეთანხმების შესაბამისად რუსეთმა სამხედრო ბაზები გაიყვანა ბათუმიდან (2007 წლის 13 ნოემბერი) და ახალქალაქიდან (2007 წლის ივნისი), რასაც მოჰყვა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გაძლიერება და რუსეთის როლის შესუსტება სამხრეთ კავკასიაში, თუმცა საქართველოს დღესაც

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრემლის კავკასიურ პოლიტიკაში (Civil Georgia, 2007).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თურქეთმა ნელ-ნელა განიმტკიცა თავისი პოზიციები ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში, ის გარემოება, რომ ქვემო ქართლი დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით და მათ საერთო ენა და კულტურა აკავშირებთ თურქეთთან, კიდევ უფრო უწყობს ხელს თურქული გავლენის ზრდას, აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმებიც მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენს ანკარისათვის. საქართველო-თურქეთს შორის 2007 წელს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და 2012 წლიდან არსებული უვიზო მიმოსვლა კიდევ უფრო ამარტივებს შრომითი მიგრანტების თავისუფალ გადაადგილებას ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. თურქეთს თავის ბიზნესინტერესები აქვს აფხაზეთთან მიმართებაშიც და მათ დასაცავად ცდილობს თავისი პოზიციების განმტკიცებას ამ ტერიტორიაზეც, რაც საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევს და არასახარბიელო ასახვას ჰპოვებს ამ ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაზე.

თურქეთის მხარე ცდილობდა საგანმანათლებლო სფეროშიც მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში არსებულ ჩაღლარის საგანმანათლებლო ქსელში ექვსი სასწავლო დაწესებულება შედიოდა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი IBSU, დემირელის სახელობის კოლეჯი, შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ქუთაისში მოქმედი ნიკო ნიკოლაძის სკოლა-ლიცეუმი და მარნეულში არსებული დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა. ყველა ზემოხსენებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ეკუთვნოდა ერდოღანის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებულ „ჰიზმეთს“, რომლის დამაარსებელ ფეთჰულა გიულენს თურქეთის ახლანდელი ხელისუფლების საწინააღმდეგო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ედებოდა ბრალი (2016).

ჩაღლარის საგანმანათლებლო ქსელის მოშლას თითქოს უნდა შეესუსტებინა თურქეთის გავლენა საქართველოში, თუმცა ფაქტია, რომ ანკარა კვლავ რჩება ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ მოთამაშედ ჩვენს ქვეყანაში (ფიფია., ვარდიაშვილი., მიქაძე ლ. 2018).

დასკვნა

თავისი ეკონომიკური შესაძლებლობებით და უკვე მოქმედი თუ განსახორციელებელი ენერგეტიკული პროექტებით თურქეთმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენის გაზრდის რეალური შესაძლებლობები მიიღო. ყარაბაღის კონფლიქტში ჩარევა იყო ერთგვარი სიგნალი თურქეთის მხრიდან, რომ მას ამ რეგიონის ქვეყნებში თავისი თავის გავლენიან მოთამაშედ წარმოჩენის პრეტენზია აქვს. მიზნის განხორციელების გზაზე მან აქტიურად გამოიყენა ეს კონფლიქტი თავისი პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად. თურქეთი სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებულია უმნიშვნელოვანესი ერთობლივი პროექტებით. ასეთი გრანდიოზული პროექტების რეალიზაცია, ბუნებრივია, მოითხოვს ბევრ დროსა და ფინანსებს, მიმდინარე გლობალური და არაპროგნოზირებადი ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესების პარალელურად თურქეთის ხელისუფლება ახერხებს გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი და მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაიკავოს ლიდერის პოზიცია. ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც გეოპოლიტიკური დაპირისპირება თურქეთს, ირანსა და რუსეთს შორის ამ რეგიონისათვის დღემდე გრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

ანთაძე, გ. (2020). ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები, https://tinyurl.com/ 2nb93k74 (3.01.2025).

ახალი ამბები Civil Georgia: ბათუმის ბაზა ბოლო რუსულმა სამხედრო ეშელონმა დატოვა,. (2007). https://civil.ge/ka/archives/142003 (3.01.2025).

ბერიძე, ზ. (2019). თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX ს-ის 90-იან წლებში, ბათუმი, https://tinyurl.com/4e34wtk9 (3.01.2025).

ბერიძე, ზ. (2018). თურქეთ - აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთ-იერთობები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. გვ.91-102. ტომი I. 2018. https://hos.openjournals.ge/index .php/hos/article/view /2809.

BBC: კავკასიის რეგიონში რუსეთის გაძლიერება საქართველოს ახალ პრობლემებს შეუქმნის,. (2020). https://tinyurl.com/ 2rbs2jub (5.01.2025).

კუნჭულია, ლ. (2020). 3+3, ლავროვის მიღწვევები და ცარიელი სკამები თბილისისთვის ჩრდილოეთსა და დასავლეთში, https://tinyurl.com/tehcfpty (5.01.2025).

მაისტერი, შ. (2020). არასტაბილური მშვიდობა-მთიანი ყარაბაღი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, https://tinyurl.com/ykvp9tcw (6.01.2025).

მაკარაძე, ე. (2018). თურქეთის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში და ურთიერთობა საქართველოსთან 1991-2008 წლებში, პოლი-ტიკა კავკასიის ირგვლივ, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებული, თსუ გამომცემლობა, https://tinyurl.com/ 3uwa9fvn (23.03.2025).

მაკარაძე, ე. (2020). პოლიტიკური დევნის საკითხები თანამედ-როვე თურქეთში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. გვ.10-19. ტომი 3. 2020. https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2854

მანჩხაშვილი, მ. (2014). თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს. თბილისი.

მანჩხაშვილი, მ. (2018). რუსეთი და სამხრეთ კავკასია. საერთა-შორისო სამეცნიერო ჟურნალი აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. გვ.73-90. ტომი I. 2018. https://hos.Openjournals.ge/ index. php/ hos/article/view/2808.

მაღალდაძე, ე. (2020). მთიანი ყარაბაღი-რეგიონულ მოთამაშეთა ინტერესები, https://tiny url.com/3ysewfxb(10.01.2025).

მაჩაიძე, რ. (2024). საქართველო "ბრიკსის" "ალყაში"?! - რას შეცვლის კავკასიაში თურქეთისა და აზერბაიჯანის „ბრიკსში“ გაწევრება, https://tinyurl.com/3sd95kjd (12.01.2025).

ფიფია. დ., ვარდიაშვილი, მ., მიქაძე, ლ. (2018). თურქული სკოლები საქართველოში - პოლიტიკური ზეწოლის მსხვერპლნი? https://tinyurl.com/584fw6np (16.01.2025).

ხოზრევანიძე, ლ. (2019). თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები, გამომცემლობა ,,დანი“, თბილისი.

Алексанян, М. (2017). Турецко-грузинское отношения в контексте региональнои политики Турции на современном этапе, https://ti nyurl.com/ebvyby8n (12.02.25)

Гоксел, Д. (2008). Кавказская политика Турции, https://tinyurl.com/25ktfpt4 (12.02.2025).

Кавказское соседство Турция и Южныи Кавказ. (2008). Институт Кавказа Ереван.

Марабян, К. (2022). Особенности современнои политики Турции на Южном Кавказе, https://ti nyurl.com/mr2mcbtr (17.02.2025).

Мачавариани, Г. (2017). Характер и особенности Грузино-Турецких отношении на современном этапе. https://tinyurl.Com/54bjfusu (2.03.2025).

Московское время. (2023). Фидан: Стабильность на Кавказе возможна с мирным договором между Азербаиджаном и Армениеи, https://tinyurl.com/3p69ardr (2.03.2025).

Свободная Грузия: Грузия-Турция: Сотрудничество на благо двух стран- в Тбилиси прибыл с официальным визитом Президент Турецкои Республики Сулеиман Демирель. (2000). https://tinyurl.com/4ett5f93 (5.03.2025).

Шафиев, Н. (2023). Встреча ,,3+3“ в Тегеране значение и неразрешенные вопросы, https://tiny url.com/2x4pvbt6 (6.03.2025).

Civil Georgia. (2004). Saakashvili: Georgia, Turkey 'Natural Allies', https://old.civil.ge/eng/article.php?id=6974&search=(19.03. 2025).

Davutoglu, A. (2013). "Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring", Foreign Policy Magazine, https://tinyurl.com/59pfj59b (19.03.2025).

Demourian, A. (2020). Russia FM: 2000 Mideast militants fight in Nagorno-Karabakh, https://tinyu rl.com/5n83dt3t (20.03.2025).

Ekedahl, C., Goodman, A. (1997). The wars of Eduuard Shevardnadze, Pennsylvania, https://tiny url.com/5b4u5h92 (20.03.2025).

Gekjian, O. (2012). Ethnicity, Nationalism and Conflict in the South Caucasus: Nagorno-Karabakh and the Legacy of Soviet Nationalities Policy. London: Ashgate, https://tinyurl.com/ 24rb5jdb (25.03.2025).

Grigoriadis, I. (2010). The Davutoğlu Doctrine and Turkish Foreign Policy, https://tinyurl.com/ 2hmtt9yv (25.03.2025).

Hovsepyan, L. (2021). The Trends of Militarization of the Foreign and Regional Policy of Modern Turkey, https://tinyurl.com/4ub2 4x6n (29.03.2025).

Khurshudyian, I. (2020). Deaths of Syrian mercenaries show how Turkey, Russia could get sucked into Nagorno-Karabakh conflict, https://tinyurl.com/3k8b459u (29.03.2025).

Ministry of Foreign Affairs: Türkiye´s Relations with Southern Caucasus Countries. (2022). https:// tinyurl.com/5aykk2bp (29.03. 2025).